პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 თბილისი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 138 (9805) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალისტთა II საკავშირო სპორტული თამაშები

„საქართველოს სპორტსმენთა მონაგარი:

ვერცხლის მედლები

◎ **ტუვიის სროლა** — **დარეჯან დუშბაძე** (ბათუმი, „დინამო"), **ირინა ოფშაკოვა** (თბილისი, „დინამო"), **დინა კულჩიცკაია** (თბილისი, პროფკავშირები, „ბენზინი"). შეჯიბრება მპ-5 ვარჯიში).

◎ **მაგიდის ჩოგბურთი** — **იგორ ივაჩენკო** (თბილისი, პროფკავშირები, წყვილებში).

ბრინჯაოს მედალი

◎ **ცურვა** — **ვლადისლავ სტეპანოვი** (თბილისი, პროფკავშირები).

საქართველოს სპორტულ დელეგაციას დღემდე სულ მოპოვებული აქვს 32 მედალი. აქედან, ოქროსი — 10, ვერცხლისა — 13, ბრინჯაოსი — 9. მოპოვებული მედლების რაოდენობით ჩვენი რესპუბლიკა საერთო გუნდურ ჩათვლაში V ადგილზეა.

თამაშების დღიური

ამჟამად შეჯიბრებები მიმდინარეობს მხოლოდ სპორტის ორ სახეობაში

ფეხბურთი (ძერჟინსკი). **საქართველოს ნაკრები გუნდი ფინალურ ჯგუფშიც წარმატებით ასპარეზობს. აქ ჩვენმა ბიჭებმა მოუგეს თურქმენეთის ნაკრებს — 5:1.**

ცურვა (ცუბიშევი). **ორი დღის ასპარეზობის შედეგ საქართველოს მოცურავეებმა 196 ქულა მოაგროვეს და ჯერჯერობით VIII ადგილზე მდგიან. პირად პირველობაში მოპოვებულია ერთი ბრინჯაოს მედალი. ეს ჯილდო 400 მ. კომბლეჯური ცურვაში წილად ხვდა თბილისელ ვლადისლავ სტეპანოვს.**

სპორტული საზოგადოებების, რესპუბლიკის ქალაქების, რაიონებისა და სოფლების წვლილი

ვინ რამდენი მედალი მოიპოვა

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება. ოქროს მედლები: საგზაო-ტაცილო ველოსიპედი — ნაკრები გუნდი: ვასილი დავიდენკო, ვიქტორ ივანესიანი (ორივე — თბილისი), გარი კუხბა (რუსთავი), შამუკა ხორგუანი, ვიტალი ეუშკუდიანი (ორივე — ქუთაისი), შამუკა შუბითიძე (ლაგოდეხი). ვასილი დავიდენკო (თბილისი, პირადში). ძიუდო — გიორგი ჯირაკოზაშვილი (საგარეჯო), ვეფხია ავალიანი (რუსთავი).

ვერცხლის მედლები: საგზატაცილო ველოსიპედი — გარი კუხბა, სტელა პრიახინა (ქობულეთი); წყალში ხტომა — გიორგი შუკუროვი (თბილისი); ძიუდო — შამუკა აბრამიშვილი (ახმეტა), ტყვიის სროლა — დინა კულჩიცკაია (თბილისი, გუნდურში).

ბრინჯაოს მედლები: სინქრონული ცურვა — ნინო მაისურაძე (თბილისი); წყალში ხტომა — ოლეგ ვასილიჩენკო (თბილისი); ძიუდო — ბადრი დილეგაშვილი (მარტყოფი); მაგიდის ჩოგბურთი — პაატა ფირცხალავა (სოხუმი) — იგორ ივაჩენკო (თბილისი, წყვილებში); ცურვა — ვლადისლავ სტეპანოვი (თბილისი).

სპორტსაზოგადოება „დინამო". ოქროს მედლები: ძიუდო — გიორგი გაჩეჩილაძე (ხუსტაფონი), დავით ხახალეიშვილი (ქუთაისი); სპორტული ტანვარჯიში — გიორგი კოსტანიანი (თბილისი).

ვერცხლის მედლები: ძიუდო — ზურაბ სამუკაშვილი, ვასილ ოქროპირიშვილი (ორივე — ახმეტა); ტყვიის სროლა — მარინა აბაკელია (თბილისი); ირინა აქშიაკოვა (თბილისი), დარეჯან დუშბაძე (ბათუმი, გუნდური პირველობა); კალათბურთი — ბაქრაძე, გვარამია, კიკოლიშვილი, უსტიაშვილი, ვაშაკიძე, ხელაშვილი, შუნგელია — საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები. **ბრინჯაოს მედლები:** ძიუდო — გიორგი გვიტერდაშვილი (ახმეტა); ველოსიპორტი (ტრეკი) —ედუარდ კარაპეტიანი (თბილისი).

„ზრდოვითი რეზერვები". ოქროს მედლები: ბატუტზე ხტომა — რუსუდან ხოფერია, მიხეილ პელევანიდისი, ანა დოლონაძე — ლია ბენდიანიშვილი (წყვილებში, ყველა — თბილისი).

ვერცხლის მედლები: ბატუტზე ხტომა — ანა დოლონაძე, რუსუდან ხოფერია — ლელა გიგინეიშვილი (წყვილებში), მიხეილ პელევანიდისი — ზაზა აბრამიშვილი (წყვილებში, ყველა სპორტსმენი თბილისელია), სპორტული ტანვარჯიში — ნიკოლოზ ბერაძიძე (თბილისი).

ბრინჯაოს მედალი: ბატუტზე ხტომა—ზაზა აბრამიშვილი (თბილისი).

ვის რამდენი პრიზიორი ჰყავს

(პირადი და გუნდური პირველობები)

თბილისი	29
ქუთაისი	7
ახმეტა	4
რუსთავი	3
საგარეჯო	2
ბათუმი	2
ახალციხე	1
საგარეჯო	1
ზესტაფონი	1
ლაგოდეხი	1
სილნაღი	1
ბარდანები	1

იუნიორ ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატი

ვასილი დავიდენკოს ვერცხლის მედალი

ეს პირველი შემთხვევაა საქართველოს სპორტის ისტორიაში

არც ისე დიდი ხანია, რაც ვასილი დავიდენკომ დიდ ველოსპორტში შემოდგა ფეხი. იგი ჯერ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ადგილობრივი მასშტაბის შეჯიბრებებში აღწევდა წარმატებას, მერე საკავშირო სარბიელზე გავიდა და იქაც მიიქცია ყურადღება, როგორც ნიჭიერმა და პერსპექტიულმა ველოსიპედისტმა.

წლეულს ვასილი დავიდენკომ ამ პროგნოზს ორმაგად გადაუხადა. ჭაბუკთა მეორე საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ მრავალდღიან რბოლაში ორი ოქროს მედალი მოიპოვა- (როგორც პირად, ისე გუნდურ ასპარეზობაში), პერსპექტიულმა სპორტსმენმა საქმით დაამტკიცა თავისი ძალა და, ცხადია, საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებში ჩაირიცხა.

და აი, ამ დღეებში ვასილი დავიდენკოს საშუალება მიეცა ახლა უკვე საერთაშორისო სარბიელზე გამოეჩინა თავი. დანიის ქალაქ ოდენსში დამთავრდა იუნიორ ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომლის პროგრამაშიც ჯგუფური რბოლა (126 კილომეტრზე) უკანასკნელი სახეობა გახლდათ.

დავიდენკო მთელ დისტანციაზე ლიდერთა შორის იმყოფებოდა და იტალიელ ჯანლუკა ტაროკოსთან ერთად მთავარი პრიზისათვის იბრძოდა, ეს დავა, ფაქტიურად, ზედ ფინიშზე გადწყდა, რომელიც უმნიშვნელო უპირატესობით მოიგო იტალიელმა. დრო ჯანლუკა ტაროკოსა და ვასილი დავიდენკოს ერთნაირი ჰქონდათ — 2:50.00. იტალიელს ოქროს მედალი გადაეცა, თბილისელ ველოსიპედისტს კი ვერცხლის. შეგახსენებთ, რომ ადრე ასეთი წარმატებისთვის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს საგზატკეცილო ველოსპორტში არ მიეღწევიათ.

გოგონათა შორის (ტრასის სიგრძე იყო 54 კილომეტრი) მსოფლიოს ჩემპიონი გიტე ჰორტფლოგი გახდა — 1:25.02.

სულ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა ველოსიპედისტებმა 2 ოქროს, 4 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

გიგანიშვილი და მუზიჩენკო შლიმრჯსთა შორის

ბალინი. ბალტიის ზღვის რეგატა სამი ოლიმპიური კლასის წარმომადგენლებმა ვადამდე დასრულეს. კვირის მეშვიდე რბოლას მათთვის პრაქტიკული მნიშვნელობა აღარც ჰქონდა, ვინაიდან სამეულმა პირველი ადგილები შაბათსვე გაინაწილა.

ბრწყინვალედ იასპარეზა „ვარსკვლავის" კლასში თბილისელმა აფროსანმა გურამ ბიგანიშვილმა, რომელსაც ახალი მებაგირე ჰყავს — რიგელი ალექსანდრე მუზიჩენკო. მათ დიდი უპირატესობით მოიპოვეს გამარჯვება.

ბალტიის ზღვის რეგატის ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე „სოლინგის" კლასში — ვლადიმერ იგნატენკო, ალექსანდრე ბუდნიკოვი და ვლადიმერ კორიტკოვი (სამივე — ვლადივოსტოკი), კატამარან „ტორნადოთი" — კანადელთა ეკიპაჟი დევიდ სვეინისა და კევინ სმითის შემადგენლობით.

კახიანმა „ნუთშესვენება" აიღო

ივანე-ფრანგოვსკი (დეპეშით, „ლელოს" სპეც. კორ.). უკრაინის ამ ქალაქში გრძელდება სსრ კავშირის მოკადრაკე ქალთა 48-ე ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. როგორც გაცნობთეთ, ახალგაზრდა გარდაბნელმა ოსტატმა ქეთევან კახიანმა ბრწყინვალედ აიღო სტარტი და ოთხი შეხვედრიდან ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა. მაგრამ ასეთი პრინციპული და პრესტიჟულ ტურნირში ძალზე ცნელია სულ ერთ დინჯზე თამაში, სხვა რომ არა იყოს რა, შეა ტურნირში ერთგვარი წუთშესვენებაც საჭიროა და კახიანიც ოდნავ მოდუნდა. ამის შედეგად მომდევნო 4 ტურში მან მხოლოდ 2 ქულა მოაგროვა (დამარცხდა შერეშევსკასთან, დაუზავდა ველიხანლისა და ოვჩინიკოვას და მოუგო ხარკოვას). თუმცა, ქეთევანი მაინც ინარჩუნებს წამყვან პოზიციას. მან ნახევარი ქულით მხოლოდ აღმაათელი საერთაშორისო ოსტატი ფლორა უსკოვა გაუსწრო წინ. სხვათა შორის, შეგახსენებთ, რომ პირად შეხვედრაში კახიანს დამარცხებული ჰყავს უაზახეთის წარმომადგენელი. ამრიგად, 8 ტურის შემდეგ უსკოვას 6,5 ქულა აქვს, კახიანს — 6, შერეშევსკასა და ოსტრის — 5-5, ლელჩუკს — 4,5, სედინასა და სახატოვას — 4-4.

შეჯიბრების დამთავრებამდე რჩება 5 ტური. დასკვნით პარტიებში კახიანი ხვდება ერნესტეს, ერიომინას, ლელჩუკს, სედინასა და ოსტრის.

ბორის პაპარაშვილი.

ბადამწყვეტი შეხვედრის მოლოდინში

უჟგოროდში დასასრულს მიუახლოვდა სსრ კავშირის პროფკავშირული ორგანიზაციის მოჭადრაკე ვაჟთა პირველობა, რომელშიც სსრ კავშირის I ლიგის 56-ე ჩემპიონატის 7 მონაწილე უნდა დასახელოს.

ვიუწყებოდით, რომ 7 ტურის შემდეგ თბილისელ ოსტატ ლაშა ჯანჯღავას 4,5 ქულა ჰქონდა. მან ბოლო სამ ტურში თავის აქტივს კიდევ 1,5 დაუმატა (დამარცხდა პასინთან, დაუზავდა გორელოვს, მოუგო ხუზმანს) და ბოლო ტურის წინ 6 ქულით VI–XII ადგილებს აუოფს. შეჯიბრების ლიდერს ბასინს 7 ქულა აქვს. 6,5–6,5 ქულა მოაგროვეს ოლმა, როზენტალისმა, ულიბინმა და იონოვმა.

ბოლო, XI ტურში ჯანჯღავა შავი ფიგურებით ვაისერს შეხვდება, რომელმაც, აგრეთვე, 6 ქულა მოაგროვა. ამ ორთაბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა ქართველი ოსტატისთვის — მოგების შემთხვევაში მას გარანტირებული აქვს I ლიგაში მონაწილეობა.

სახალხო განათლების სისტემის სპორტსკოლების საკავშირო შეჯიბრება

გამარჯვებით დაიწყეს

სახალხო განათლების სისტემის სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრებაზე გამოვლინდა პირველი ჩემპიონი. ეს გახლავთ საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრები (1973–1974 წ.წ. დაბადებულნი), **ნები ასპარეზობენ,** ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები VII–IX ადგილებისთვის მონაწილე გუნდებს შორის გამოდიან.

სასიხარულო ცნობა მივიღეთ ფრუნზედანაც. აქ, როგორც ცნობილია, **თავიანთი სტილის მოჭიდაკეები** იბრძვიან. ფინალურ შეხვედრებში ასპარეზობის უფლება საქართველოს რვა მოჭიდაკეს მოიპოვა. ესენი არიან: ბალხან შხვიძე, ზვიად აბესერიძე, ანატოლი კაბისოვი, დავით ბაბაკიძე, ლაშა კაპანაძე, იოსებ უზუნაშვილი, იგორ ბერაია, დიმიტრი აბრამიშვილი.

საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრები გუნდი

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების წინ

ძნელი გამოცდა

ფარიკაობაში საერთო გუნდური ჩათვლა ჩვენი აქილევსის ქუსლია; თუ ერთ სახეობაში ასე თუ ისე გამოვიჩენთ თავს, სამ დანარჩენში უჭულმა წაგვივა საქმე და გუნდის საერთო ბალანსიც უსახარულო გამოდის. თუმცა ამჯერად საქართველოს ნაკრებს, რომელიც ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშებისთვის ემზადება, ოთხივე სახეობაში სტაბილური გეგმა აქვს— სულ ცოტა, VI ადგილი.

ნორჩი მუშკეტერები ამჟამად თბილისში არიან. შეჯიბრებამდე კიდევ ერთი თვე რჩება და, როგორც მწვრთნელებმა გვითხრეს, გუნდის საბოლოო კონტურები ჯერ არ გამოკვეთილა.

ვარჯიში მიმდინარეობს პლასტმასის ქარხნის სპორტულ დარბაზში, რომელიც დროებით სათავისოდ დაიგულეს მოფარიკაველებმა. საკარჯიშო ადგილის პრობლემა მაცნობია მათთვის. მოფარიკაველთა ერთადერთი სტაციონარული ბაზა— სპორტსახკომის დარბაზი — გაჟიანურებული რემონტის გამო, კარგა ხანია უმოქმედოდაა. „პლასტმასის ქარხნის დარბაზი თავისთავად დიდი ვერაფერი შვილია, მაგრამ თუნდაც ასეთი ბაზა რომ გაქვს მუდმივად, ისიც დიდი შეღავათია, — გვითხრეს მწვრთნელებმა, — ასეთ „ფუფუნებაში“ ბოლო ორი თვეა ვართ, სასურველი კი იყო, აქ ვარჯიშის საშუალება სექტემბრიდან გვქონოდა...“

წვრთნა ტრადიციული წესით მიმდინარეობს. თითოეულ სახეობაში გამოყოფილია უფროსი მწვრთნელი, რომელიც თავისი კოლეგების მუშაობას ხელმძღვანელობს. მწვრთნელებთან საუბრისას შომავალ შეჯიბრებასთან დაკავშირებით დიდი ოპტიმიზმი არავის გამოუმჟღავნებია, მაგრამ ეს უფრო მათს წინაშე დასახული ამოცანის სერიოზულობით იყო გამოწვეული.

ნოდარ დიდია — დაშნით მოფარიკაველთა გუნდის უფროსი მწვრთნელი:

— ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებზე XIII ადგილზე აღმოვჩნდით, ახლა კი VI ადგილზე გასვლას ვფიქრობთ. თანაც, აი, რა ვითარებაა: თუ პირველ თამაშებზე 16 გუნდი გვყავდა მეტოქედ, ახლა



ფარიკაობის ყველა სახეობაში 21-22 კოლექტივი იყრის თავს. ასე რომ, ჩვენი გეგმა ოპტიმისტურზე ცოტა მეტიც არის, პროგნოზი კი დაშნით შეჯიბრებაში, განსაკუთრებით — ჭაბუკთა შორის, თითქმის უიმედო საქმეა. ამიტომ ყველას აკობებს, კარგად ივარჯიშო და იმედი გქონდეს... თუ გუნდის კანდიდატები გაინტერესებთ, ჩამოგთვლით: ქუთაისელი დავით აბესაძე, ბათუმელი ლევან ჩხარტიშვილი, თბილისელები: ლევან კობიძე, ზურაბ იორდანიშვილი, გია ცქიალაძე და გია თავართქილაძე.

დაახლოებით ასეთივე აზრი გამოთქვა გოგონათა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **რამაზ გიორგაძემ.** გუნდის ლიდერად მან თბილისელი თეონა გალუაშვილი დაასახელა. მწვრთნელის აზრით, მას პირად პირველობაშიც შეუძლია თექვსმეტ საუკეთესოს შორის მოხვდეს, რაც ცალკე ქულებს იძლევა. რაპირისტ ვაჟთა შორის (უფროსი მწვრთნელი **გლადიმერ ქობიაშვილი**) გამოირჩევიან გიორგი კვარაცხელია და ომარ ჯანიაშვილი.

ჩვენი ნაკრების ყველაზე ძლიერ რგოლად ტრადიციულად ხმლით მოფარიკაველთა გუნდი ითვლება, რომელსაც, ცხადია, უფრო საპატიო გეგმა აქვს — IV ადგილის დაკავება. პროგნოზი პროგნოზად, მაგრამ ობიექტურად ჩვენი ხმლით მოფარიკაველები ნამდვილად შეძლება შეჯიბრების ერთ-ერთ ფავორიტებად ჩავთვალოთ.

— მთლიანი გუნდისათვის დაგეგმილ ერთ შედალსაც უფრო ხმლით მოფარიკაველებისაგან ველით, — გვითხრა საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა

გურამ ლორთქიფანიძემ, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს ამ სახეობის წარმომადგენელთა მომზადებას, — გუნდში მოხვედრის კარგი შანსი აქვთ ზესტაფონელ კოხტა ყელენტს, გაგრელ ლაშა ყიფიანს, თბილისელებს არჩილ ლორთქიფანიძეს, დავით ფეიქრიშვილს, ზაზა ჭორიძეს, ლევან ყიფშანს, გიორგი უკლებას...

ცალკე მინდა ვთქვა გუნდის მთლიანი გეგმის შესახებ. ალბათ მწვრთნელები უკვე იტყოდნენ, რა რთული დავალებები გვაქვს. მინდა ავხსნა, რით არის განპირობებული გეგმის სიძნელე. ჭაბუკთა პირველ

თამაშებზე საკმაოდ წარუმატებლად გამოვედით და ახლა ერთი ან ორი ადგილით წინ წაწევა მაინც არ ჩაგვთვლებოდა კარგ შუამობაში. საჭირო იყო გაბედული, თამამი გეგმა, რაც მწვრთნელებს მეტ იმპულსს მისცემდა უფრო დარაზმავდა. არც ის შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელს ვეპოტინებით. ჭაბუკთა შეჯიბრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. საქმე ისაა, როგორ მოამზადებ გუნდს.

ჩვენი ბიჭების ყველაზე ძლიერ ადგილად ითვლება, ცხადია, IV ადგილის დაკავება. ამ ადგილზე ბრძოლა ორ ნაკრებს — ბელორუსისა და ჩვენს — ეკუთვნის. ეს ორი ნაკრები ერთ-ერთ ადგილზე ერთმანეთს ებრძოლებიან. ეს ბრძოლა ალბათ ბევრ ადგილზე

საბჭოთა კავშირის თასზე

განვლილ შაბათს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩი კიევის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიის“ შორის. თამაში მოიგეს კიეველებმა.

საკავშირო თასის გათამაშებაში უმაღლესი ლიგის გუნდები ჩაებმენ მეთექვსმეტედფინალიდან, ამ ეტაპზე მათ თავიანთ მინდვრებზე მიიღეს წინა შეხვედრებში გამარჯვებული I და II ლიგების გუნდები.

საქართველოდან გათამაშებას ამჟამად ოთხი გუნდი შემორჩა: მეთექვსმეტედფინალის პირველ მატჩებში თბილისის დინამოელებმა შინ ანგარიშით 2:1 დაამარცხეს კიშინიოვის „ნისტრუ“. დიდ წარმატებას მიაღწიეს ქუთაისის ტორპედოელებმა, რომლებმაც ოდესაში ანგარიშით 2:0 მოუგეს ადგილობრივ „ჩერნომორეცს“, ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა კიევში წააგეს „დინამოსთან“ — 0:2, ხოლო ვილნიუსის „ჟალგირისმა“ მოუგო თბილისის „შევარდენი“-სპი-ს — 4:2.

20 ივლისს მეთექვსმეტედფინალის სპასუხო შეხვედრებია. თბილისის დინამოელებმა კიშინიოვში შეხვდებიან „ნისტრუს“, ხოლო ქუთაისელები, ლანჩხუთელები და თბილისის „შევარდენი“ შინ მიიღებენ ოდესის „ჩერნომორეცს“, კიევის „დინამოს“ და ვილნიუსის „ჟალგირისს“.

შეგახსენებთ დანარჩენი წყვილების პირველ შეხვედრათა შედეგებს: „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „მელიორატორი“ (კზილ-ორდა) 2:1, „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 2:0, „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:0, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:0, „არარატი“ (ერევანი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 2:3, „დინამო“ (მინსკი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 3:0, „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (ბარნაული) 4:0, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 5:0, „კაირატი“ (ალმა-ათა) — „ირტიში“ (ომსკი) 5:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ტრაქტორი“ (პავლოდარი) 1:0, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ნივა“ (ტერნოპოლი) 4:1, „დინამო“ (მოსკოვი) — „კოლოსი“ (ნოვგოროდი) 0:0.

ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი

22 ივლისს ჩეხოსლოვაკიის სტადიონებზე იწყება ჭაბუკ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატი, რომელიც სულ სამ დღეს გაგრძელდება: **22 ივლისს** ერთმანეთს შეხვდებიან მეოთხედფინალის მონაწილენი, **24 ივლისს** გაიმართება ნახევარფინალური მატჩები, ხოლო **27 ივლისს** — ფინალი და, აგრეთვე, მატჩი მესამე ადგილისთვის.

მეოთხედფინალის მეტოქენი ასე დაწყვილდნენ: პორტუგალია — ჰოლანდია, ჩეხოსლოვაკია — ესპანეთი, დანია — გდრ, სსრ კავშირი — ნორვეგია.

ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან პირველი და მეორე მეოთხედფინალური წყვილების გამარჯვებულები და მესამე და მეოთხე ჯგუფების გამარჯვებულები.

სსრ კავშირის ნაკრებს ხელმძღვანელობენ მწვრთნელები ბ. იგნატიევი და ე. კოტელნიკოვი. ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას გადიოდა 22 ფეხბურთელი: მეკარეები გ. სტაუჩე („სპარტაკი“), ა. აბრამიანი („არარატი“) და ი. ოყროშიძე (ლენინგრადის „ზენიტი“), მინდვრის მოთამაშეები: ო. ტაბუნოვი, ვ. პოპოვიჩი (ცსკა), ო. ბენკო (ასკ „კარპატი“), ო. თეთრაძე, მ. კალატოზიშვილი, ბ. თედეევი (თბილისის „დინამო“), ს. ზაეცი, ა. მუშჩინკა (კიევის „დინამო“), ს. ბეჟენარი („დნეპრი“), ა. ასადოვი („ნეფთჩი“), ნ. კასიმოვი („ფახთაქორი“), რ. კაპუსტასი („ჟალგირისი“), ა. ტიმოშენკო, ს. კირიაკოვი (მოსკოვის „ტორპედო“), ო. სალენკო (ლენინგრადის „ზენიტი“), ი. ნიკიფოროვი („ჩერნომორეცი“), ს. ტიმოფეევი („სპარტაკი“), ვ. ივანოვი (ლენინგრადის „ზენიტი“), ვ. ონოპკო („შახტიორი“). აქედან უშუალოდ ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა 16 ფეხბურთელი.

გათამაშების კალენდარი ⊙ მეორე წრე

XVI ტური

31, ივლისი, კვირა
„დინამო“ (მინსკი) — „ტორპედო“ (მოსკოვი).
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „კაირატი“ (ალმა-ათა).
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი).
„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (კიევი).
„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი).
„არარატი“ (ერევანი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა).
„ნეფთჩი“ (ბაქო) — „შახტიორი“ (დონეცკი).

1 აგვისტო, ორშაბათი
„დინამო“ (მოსკოვი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი).

XVII ტური

4 აგვისტო, ხუთშაბათი
„დინამო“ მნ. — „კაირატი“
„ჟალგირისი“ — „ტორპედო“.
„ლოკომოტივი“ — „დინამო“ კ.
„ზენიტი“ — „მეტალისტი“.
„დინამო“ თბ. — „ჩერნომორეცი“.
„არარატი“ — „სპარტაკი“.
„ნეფთჩი“ — „დნეპრი“.

5 აგვისტო, პარასკევი
„შახტიორი“ — „დინამო“ მ.

XVIII ტური

8 აგვისტო, ორშაბათი
„სპარტაკი“ — „ნეფთჩი“.

9 აგვისტო, სამშაბათი
„შახტიორი“ — „დინამო“ თბ.
„დნეპრი“ — „არარატი“.
„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ მ.
„მეტალისტი“ — „დინამო“ მნ.
„დინამო“ კ. — „ჟალგირისი“.
„კაირატი“ — „ზენიტი“

XIX ტური

13 აგვისტო, შაბათი
„შახტიორი“ — „არარატი“.
„დნეპრი“ — „დინამო“ თბ.
„სპარტაკი“ — „დინამო“ მ.
„ჩერნომორეცი“ — „ნეფთჩი“.
„მეტალისტი“ — „ჟალგირისი“.
„დინამო“ კ. — „დინამო“ მნ.
„კაირატი“ — „ლოკომოტივი“.

14 აგვისტო, კვირა
„ტორპედო“ — „ზენიტი“.

17 აგვისტო, ოთხშაბათი
ფინეთი (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები). ამხანაგური მატჩი.
„დინამო“ მ. — „დინამო“ თბ. (XX ტურის მატჩი).
„ჟალგირისი“ — „შახტიორი“ (I წრის მატჩი).

XX ტური

20 აგვისტო, შაბათი
„სპარტაკი“ — „დნეპრი“.
„ჩერნომორეცი“ — „შახტიორი“.
„მეტალისტი“ — „დინამო“ კ.
„ტორპედო“ — „კაირატი“
„ჟალგირისი“ — „ლოკომოტივი“.
„ზენიტი“ — „დინამო“ მნ.
„ნეფთჩი“ — „არარატი“.

XXI ტური

24 აგვისტო, ოთხშაბათი
„შახტიორი“ — „სპარტაკი“.
„დნეპრი“ — „ჩერნომორეცი“.
„ტორპედო“ — „დინამო“ კ.
„კაირატი“ — „მეტალისტი“.
„დინამო“ მნ. — „ჟალგირისი“.
„დინამო“ თბ. — „ნეფთჩი“.

25 აგვისტო, ხუთშაბათი
„ლოკომოტივი“ — „ზენიტი“.

28 აგვისტო, კვირა
სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასი, მეოთხედფინალური მატჩები.
„სპარტაკი“ — „ჩერნომორეცი“.
„კაირატი“ — „დინამო“ მნ.
„ჟალგირისი“ — „ნეფთჩი“.

29 აგვისტო, ორშაბათი
„მეტალისტი“ — „დინამო“ მ.

31 აგვისტო, ოთხშაბათი
1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.
ისლანდია — სსრ კავშირი.

XXII ტური

3 სექტემბერი, შაბათი
„დნეპრი“ — „შახტიორი“.
„სპარტაკი“ — „ჩერნომორეცი“.
„დინამო“ კ. — „კაირატი“.
„ტორპედო“ — „მეტალისტი“.
„დინამო“ მნ. — „ლოკომოტივი“.
„ჟალგირისი“ — „ზენიტი“.
„ნეფთჩი“ — „დინამო“ მ.

5 სექტემბერი, ოთხშაბათი
„გურია“ — „დინამო“ კ. (1988-89 წლების სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის სპასუხო მატჩი).

7 სექტემბერი, ოთხშაბათი
უეფა-ს თასის გათამაშების I ტურის მატჩები.

8 სექტემბერი, ხუთშაბათი
„დინამო“ თბ. — „დინამო“ კ. (I წრის მატჩი).

11-12 სექტემბერი (კვირა, ორშაბათი)
1988-1989 წლების სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები.

XXIII ტური

17 სექტემბერი, შაბათი
„დინამო“ კ. — „შახტიორი“.
„ტორპედო“ — „ჩერნომორეცი.“
„კაირატი“ — „სპარტაკი“.
„დინამო“ მნ. — „არარატი“.
„ჟალგირისი“ — „დინამო“ თბ.
„ნეფთჩი“ — „ზენიტი“.

18 სექტემბერი, კვირა
ოლიმპიური თამაშები.
სამხრეთ კორეა — სსრ კავშირი.

20 სექტემბერი, სამშაბათი
სსრ კავშირი — არგენტინა.

21 სექტემბერი, ოთხშაბათი
გფრ (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები). ამხანაგური მატჩი.

22 სექტემბერი, ხუთშაბათი
ოლიმპიური თამაშები
სსრ კავშირი — აშშ.

25 სექტემბერი, კვირა
მეოთხედფინალები.

XXIV ტური
„შახტიორი“ — „კაირატი“.
„დნეპრი“ — „ტორპედო“.
„სპარტაკი“ — „მეტალისტი“.
სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩები.

16 ოქტომბერი, კვირა
„ტორპედო“ — „ლოკომოტივი“ (XVIII ტურის მატჩი).

19 ოქტომბერი, ოთხშაბათი
1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.
სსრ კავშირი — ავსტრია.

XXVI ტური

22 ოქტომბერი, შაბათი
„შახტიორი“ — „ტორპედო“.
„დნეპრი“ — „კაირატი“.
„სპარტაკი“ — „დინამო“ კ.
„ნეფთჩი“ — „ჟალგირისი“.
„ჩერნომორეცი“ — „მეტალისტი“.
„დინამო“ თბ. — „ზენიტი“.
„არარატი“ — „ლოკომოტივი“.
„დინამო“ მ. — „დინამო“ მნ.

26 ოქტომბერი, ოთხშაბათი
უეფა-ს თასის გათამაშების II ტურის მატჩები.

27 ოქტომბერი, ხუთშაბათი
„დინამო“ მ. — „არარატი“ (XXI ტურის მატჩი)

XXVII ტური

31 ოქტომბერი, ორშაბათი
„მეტალისტი“ — „დინამო“ მ..
„დინამო“ მნ. — „სპარტაკი“.
„ჟალგირისი“ — „ჩერნომორეცი“.
„ლოკომოტივი“ — „შახტიორი“.
„ზენიტი“ — „დნეპრი“.
„დინამო“ თბ. — „კაირატი“.
„არარატი“ — „დინამო“ კ.
„ნეფთჩი“ — „ტორპედო“.

XXVIII ტური

4 ნოემბერი, პარასკევი
„დინამო“ კ. — „დინამო“ მ.
„კაირატი“ — „ნეფთჩი“.
„დინამო“ მნ. — „ჩერნომორეცი“
„ჟალგირისი“ — „სპარტაკი“.
„ლოკომოტივი“ — „დნეპრი“.
„ზენიტი“ — „შახტიორი“.
„დინამო“ თბ. — „ტორპედო“
„არარატი“ — „მეტალისტი“.

8 ნოემბერი, სამშაბათი
„ლოკომოტივი“ — „დინამო“ მ. (XXIII ტურის მატჩი).

9 ნოემბერი, ოთხშაბათი
უეფა-ს თასის გათამაშების მეორე ტურის სასპასუხო მატჩები.

XXIX ტური

14 ნოემბერი, ორშაბათი
„შახტიორი“ — „ჟალგირისი“.
„დნეპრი“ — „დინამო“ მნ.
„სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“.
„ჩერნომორეცი“ — „ზენიტი“
„ნეფთჩი“ — „მეტალისტი“.
„დინამო“ კ. — „დინამო“ თბ.
„ტორპედო“ — „დინამო“ მ.
„კაირატი“ — „არარატი“.

XXX ტური

19 ნოემბერი, შაბათი
„შახტიორი“ — „დინამო“ მნ.
„დნეპრი“ — „ჟალგირისი“.
„სპარტაკი“ — „ზენიტი“.
„ჩერნომორეცი“ — „ლოკომოტივი“.
„მეტალისტი“ — „დინამო“ თბ.
„ნეფთჩი“ — „დინამო“ კ.
„ტორპედო“ — „არარატი“.
„დინამო“ მ. — „კაირატი“.

23 ნოემბერი, ოთხშაბათი
უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები.

27 ნოემბერი, კვირა
სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის ფინალური მატჩი.

7 დეკემბერი, ოთხშაბათი
უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩების სასპასუხო შეხვედრები.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 ივლისისთვის (ძირითადი შემადგენლობანი)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. „დინამო“ (კიევი)	14	10	3	1	22-5	23
2. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	16	8	7	1	20-9	23
3. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	14	7	6	1	22-13	20
4. „ტორპედო“ (მოსკოვი)	15	7	4	4	17-14	18
5. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	15	6	6	3	19-15	18
6. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	14	7	3	4	24-19	17
7. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	15	6	4	5	18-15	16
8. „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	15	7	1	7	12-15	15
9. „დინამო“ (მოსკოვი)	16	5	4	7	17-20	14
10. „არარატი“ (ერევანი)	15	5	4	6	10-13	14
11. „მეტალისტი“ (ხარკოვი)	16	4	6	6	14-20	14
12. „დინამო“ (მინსკი)	15	3	6	6	12-15	12
13. „შახტიორი“ (დონეცკი)	14	3	4	7	9-14	10
14. „ნეფთჩი“ (ბაქო)	15	4	1	10	14-23	9
15. „დინამო“ (თბილისი)	14	4	0	10	16-24	8
16. „კაირატი“ (ალმა-ათა)	15	3	1	11	12-24	7

დასასრულს მიუახლოვდა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა 1988 წლის საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე.

16 და 17 ივლისს გაიმართა სარეზერვო დღეებში გადატანილი 3 მატჩი. მოსკოვის „დინამომ“ და „ჟალგირისმა“ ფრედ ითამაშეს — 0:0, ხარკოვის „მეტალისტმა“ საკუთარ მინდორზე მარცხი იწვნია დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“ შეხვედრაში — 0:2, ხოლო მოსკოვის გუნდების „ლოკომოტივისა“ და „სპარტაკის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

ჩასატარებელია I წრის კიდევ 3 მატჩი: 25 ივლისს ერთმანეთს შეხვდებიან ლენინგრადის „ზენიტი“ და მოსკოვის „სპარტაკი“, 17 აგვისტოს — „ჟალგირისი“ და „შახტიორი“, ხოლო 8 სექტემბერს „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი).

„ტყავის გშრთის“ პრიზი—„იმედს“

ქუთაისში დამთავრდა რესპუბლიკური პირველობა „ტყავის ბურთის“ პრიზზე 1973-74 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის.

ფინალურ მატჩში ერთმანეთს საჩხერის „იმედისა“ და ბოლნისის „სიონის“ გუნდები შეხვდნენ. დაძაბული, საინტერესო ასპარეზობა საჩხერელთა გამარჯვებით — 2:0 დამთავრდა.

საჩხერელი ფეხბურთელები ამ ასპარეზობის საკავშირო ფინალურ გათამაშებაში მეორედ დაიცავენ ჩვენი რესპუბლიკის დირსებას (საჩხერელთა გუნდს წვრთნის ა. ოვანოვი, სპორტსკოლის დირექტორია ჯ. მიქაძე).

ვ. ეუკი — ფიფა-ს არბიტრი

მინსკელ არბიტრს ვადიმ ეუკს, რომელსაც უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატებში ჩატარებული აქვს ასამდე მატჩი, აგრეთვე, ოცზე მეტი საერთაშორისო შეხვედრა, მიენიჭა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის არბიტრის წოდება.

სამხრეთამერიკელთა პროგლემები

ვისი ფეხბურთია სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე უფრო ძლიერი — ბრაზილიის თუ არგენტინის? ამ დავას, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში დაიწყო, პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ურთიერთშეხვედრათა ანგარიში ჯერჯერობით ბრაზილიელთა სასარგებლოდაა, რომლებსაც რვა მატჩით მეტი აქვთ მოგებული. მუდმივ მეტოქეზე გამარჯვება ორივე ქვეყანაში აუწერელ აჟიოტაჟს იწვევს. მით უფრო გასაკვირია საფეხბურთო წრეებში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს არგენტინელი მწვრთნელი ლუის მენოტი. თვით მენოტი, რომელიც ამჟამად „რივერ-პლეიტში“ მუშაობს, თავს არიდებს კომენტარს ამის შესახებ. ბრაზილიური ჟურნალის „პლაკარის“ აზრით კი ამ გადაწყვეტილებას შესაძლოა მთელი რევოლუცია მოჰყვეს.

ბრაზილიელი ზიკო კიდევ ერთ წელიწადს ითამაშებს ფეხბურთს, ოღონდ თავის ქვეყანაში კი არა — იაპონიაში. აქ იგი ერთმანეთს შეუთავსებს ფეხბურთელს, მწვრთნელისა და მასწავლებლის ფუნქციებს. ზიკოს გამოსათხოვარ მატჩს ბრაზილიაში 68.500 მაყურებელი დაესწრო.

(სპკ. ინფ.).

სსრ კავშირის
ჩემპიონატი რეგბიში

გაიმართა რუგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის XVII ტურის შეხვედრები. საქართველოს გუნდებმა სტუმრად იასპარეზეს. ქუთაისის „შენენბელმა“ ტაშკენტში სძლია ადგილობრივ „ზვეზდას“— 19:3, თბილისის „ელმავალმა“ კი წააგო ალმა-ათის ასკ-სთან — 3:24. სხვა შეხვედრათა შედეგები: სსა — „ავიატორი“ 18:10 (XVI ტურის მატჩი), „ფილი“ — „ლოკომოტივი“ 4:6, „სლავა“ — ეტს 6:3.

მომდევნო ტურში, 21 ივლისს, „მშენებელი“ უმასპინძლებს „ელმავალს“.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.	
„მშენებ.“	17	14	1	2	46	(— 5)
სსა (მონ.)	16	13	0	3	42	(— 6)
„სლავა“ (მ.)	17	12	0	5	41	(—10)
„ლოკ.“ (მ.)	17	11	2	4	41	(—10)
ეტს (კრას.)	17	9	2	6	37	(—14)
ასკ (ა.-ა).	17	8	4	5	37	(—14)
„ავიატ.“ (კ.)	16	10	0	6	36	(—12)
„ელმავალი“	17	7	1	9	32	(—19)
„ელ.“ (ტორ.)	16	2	3	11	23	(—25)
„ფილი“ (მ.)	16	2	1	13	21	(—27)
„ზვ.“ (ტაშ.)	17	2	0	15	21	(—30)
„ელ.“ (ლენ.)	15	1	2	12	19	(—26)

ინფორმაცია

ცურვა. მოსკოვში ჩატარებული საკავშირო ჩემპიონატი ერთი მსოფლიო და ხუთი საკავშირო რეკორდით აღინიშნა. მსოფლიო რეკორდი ნოვოსიბირსკელმა იგორ ჰოლიანსკიმ დაამყარა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 55,0. ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება . საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები.

ტენიის სროლა. დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „სოვეტსკი პატრიოტის“ პრიზებზე. გათამაშდა მედლების თერმეტი კომპლექტი. საბჭოთა სორტსმენებმა ექვსი ოქროს, სამი — ვეცხლისა და ორი — ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

მაგიდის ჩოგბურთი. ახალი სისტემით — სუპერფინალებით გამოვლინდა საკავშირო გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებული. ქალთა შორის პირველი ადგილი მოსკოვის პროფკავშირთა ნაკრებმა დაისაკუთრა, ვაჟებში უძლიერესია გორკის პროფკავშირების გუნდი.

მძლეოსნობა. ჩელიაბინსკში გამართულ საკავშირო თასის ნახევარფინალურ შეჯიბრებაში სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შორის ყველას აჯობა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ლარისა კოსიცინამ. მისი შედეგი 200 სმ. ჩვენს ქვეყანაში წლეულს საუკეთესოა.

საშეშის რეკორდი

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ინდიანაპოლისიდან, სადაც ამ ქვეყნის მძლეოსანთა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი მიმდინარეობს, მივიღეთ ცნობა, რომ შავკანიანმა მორბენალმა ფლორენა გრიფიტ-ჯოინერმა 100 მეტრზე 10,49 აჩვენა. ეს არის ახალი, პირდაპირ ფანტასტიკური რეკორდი ქალთა შორის, თავისი მნიშვნელობით იგი თვით ბობი ბიმონისა და ჯიმი ჰაინსის მიერ მეხიკოს ოლიმპიადაზე ნაჩვენებ შედეგებს შეიძლება გავუტოლოთ. იწყება ახალი ერა ქალთა მძლეოსნობაში. გრაფიტმა ერთბაშად 0,27 წამით გააუმჯობესა ძველი მიღწევა, რომელიც მის თანამემამულეს, ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონს ეველინ ეშფორდს ეკუთვნოდა.

ახალი რეკორდით მიღებული შთაბეჭდილება იმდენად დიდია, რომ სპორტის პროგნოზისტი ალბათ ახლავე მიაკუთვნებს გრიფიტს სეულის ოლიმპიადის ჩემპიონობას, მის მეტოქეებს კი ურჩევს სხვა დისტანციას მიაქციონ უურადღება. გრიფიტი უკვე არის ოლიმპიური ჩემპიონი, ლოს-ანჯელესში იგი აშშ-ის გუნდის სახელით 4X100 მეტრზე ამანათრბენში გამოდიოდა და გაიმარჯვა.

ინდიანაპოლისში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ჯეკი ჯოინერ — კირსმა, რომელიც შვიდჯიდში გამოდიოდა და 7215 ქულა მოაგროვა.

„ატლანტა ჰოუკსის“ თბილისში ჩამოსვლის წინ

პროფესიონალი მწვრთნელი პროფესიონალურ კალათბურთზე



ევროპაში ამჟამად კალათბურთის ბევრი ამერიკელი სპეციალისტი მუშაობს. ერთ-ერთი მათგანი ედ ვიშერი დანიის იუნიორთა ეროვნულ ნაკრებს ავარჯიშებს. საბჭოთა კავშირში აშშ-ს პროფესიონალი კლუბის „ატლანტა ჰოუკსის“ ჩამოსვლასთან დაკავშირებით. ვიშერმა რამდენიმე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ამერიკის კალათბურთზე და ერთგვარად შეადარა იგი ევროპისას.

ვიშერის განცხადებით ევროპის გუნდები ე. წ. სათამაშო დისციპლინას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, შეერთებულ შტატებში კი იგი კანონია, რომელსაც ვერც ერთი პროფესიონალი კლუბი ვერ გადაუხვევს. რას ნიშნავს ვიშერის აზრით სათამაშო დისციპლინა?

ევროპაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კომბინაციებს, განსაკუთრებით მრავალსვლიანს, რომელსაც გარკვეული ეფექტი, ცხადია, აქვს და თამაშსაც ერთგვარად ალამაზებს. გარდა ამისა, ძველი სამყარო გაზვიადებულად აფასებს შორიდან ბურთის კალათში სროლის მნიშვნელობას, ამერიკელებისთვის კი მთავარია ფარის ქვეშ ბრძოლა და სროლები ნახტომში. ევროპელი კალათბურთელები ცდილობენ მეტოქეს თამაშის საშუალება არ მასცენ, ამერიკელები კი, პირიქით, მთავარ ყურადღებას თამაშს აქცევენ.

თამაში რომ იცოდე, ვიშერის აზრით, ავტომატიზმამდე უნდა დაიყვანო მისი ყველა ელემენტის შესრულება: დრიბლინგი, სროლები, ფარქვეშ ბრძოლა, გადაცემა, ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაში თამაში, პერსონალური შეურევობა და ყველა ის ილეთი, რომელიც საჭიროა მეტოქის გვერდის ასავლელად. ამ საშუალებათა უნაკლო დაუფლება (ავტომატიზმამდე დაყვანა) ნიშნავს კიდეც სათამაშო დისციპლინას.

— რატომ თამაშობენ კალათბურთს ამერიკაში ყველგან, ჰკითხეს ვიშერს.

— იმიტომ, რომ კალათბურთი სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა, იყო პასუხი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ყველა თამაშობს. იმისათვის რომ სპორტის ამ სახეობით დაინტერესო ბავშვები, ყოველი შეჯიბრება ზეიმად უნდა აქციო. ამერიკაში ამას აღწევენ.

შტატებში კალათბურთის თამაში მოსწავლე უმთავრესად მერვე კლასში იწყებს (იშვიათად V და VI კლასებში). ჩვენში სასწავლო წელი სამად არის დაყოფილი,—ამბობს ვიშერი (გაზაფხული, შემოდგომა, ზამთარი) და წელიწადის ყველა დროისთვის ბავშვებს სპორტის სხვადასხვა სახეობებს ურჩევენ. შემოდგომაზე, მაგალითად, ევროპელ და ამერიკელ ფეხბურთს, ფრენბურთს, ზამთარში — კალათბურთს, ცურვას, ტანვარჯიშს, გაზაფხულზე — მძლეოსნობას, გოლფს, ჩოგბურთს, ბეისბოლს.

თერთმეტი წლის ასაკში იწყება სპეციალიზაცია, თუმცა საშუალო სკოლაში იგი, ცხადია, აბსოლუტური არ გახლავთ. ამერიკელებს არ უყვართ, როცა კალათბურთის თამაშს ადრეულ ასაკში იწყებენ. რაც უფრო ადრე ღვივდება ინტერესი კალათბურთისადმი, მით უფრო ადრე ქრება იგი.

ამერიკელ მწვრთნელს, ვიშერის აზრით, ევროპელ ბავშვებთან მუშაობა გაუჭირდება, ვინაიდან აქ სპორტის ბევრი საინტერესო სახეობაა გავრცელებული და ისინი კალათბურთს აუდიტორიას ართმევენ.

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 19 ივლისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. სუპერფინალი (გადაცემა მოსკოვიდან) — **19.15 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **21.15 (2).**

რედაქტორი
თ. ბაგრეგილაძე.

თბილისის „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში (უნივერსიტეტის ქ. 4) 24 ივლისიდან 1 აგვისტომდე ჩატარდება საკავშირო უნივერსიადის („უნივერსიადა-88“) პროგრამით გათვალისწინებული მოფარიკაკეთა ფინალური შეჯიბრება.

დასაწყისი 10 საათზე.

საქართველოს პროფკავშირთა ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების სპორტკლუბი.

I ლიგა

16 და 17 ივლისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 22-ე ტურის მატჩები.

ლანჩხუთის „გურიამ“ ტურის მატჩი გამოტოვა, ვინაიდან სსრ კავშირის თასზე თამაშობდა კიევში, ბათუმის დინამოელებმა კი ტიუმენში წააგეს „გეოლოგთან“ —1:2.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „დაუგავა“ (რიგა) — „პამირი“ (დუშანბე) 3:2, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 0:1, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:1, ასკ (დონის როსტოვი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 2:1, „დინამო“ (სტავროპოლი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:1.

I ლიგის გუნდები 20 ივლისს მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის თასის მეთექვსმეტედფინალურ მატჩებში, 30 ივლისს კი გაიმართება I ლიგის თასის ნახევარფინალები.

3 აგვისტოს დაიწყება I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების II წრე. ამ დღეს ბათუმის დინამოელები თავიანთ მინდორზე მიიღებენ ზონის ერთ-ერთ ლიდერს სტავროპოლის „დინამოს“, ხოლო ლანჩხუთის „გურია“ შინ ითამაშებს ორჯონიკიძის „სპარტაკთან“.

საქართველოს პირველობა

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის XX ტურის შეხვედრები: „სპოვნელა“ (თერჯოლა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0, „სულორი“ (ვანი) — „ივერია“ (ხაშური) 3:0, „მადნეული“ (ბოლნისი) — „დურუჯი“ (უვარელი) 2:2, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:1, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:1, „კოლხეთი“ (ხობი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 4:2, „დინამო“ (ზუგდიდი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 5:1, „დინამო“ (გაგრა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:0, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:1.

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის მატჩები: თბილისში „ლოკომოტივი“-ომსკს გუნდმა ვოლესკის „ტორპედოს“ უმასპინძლა, გაიმარჯვეს თბილისელებმა — 1:0, ბურთი მ. ყაველაშვილმა გაიტანა. ქუთაისის ტორპედოელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხა მინერალური წყლების „ლოკომოტივი“ — 5:0. ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „თერგი“ (გროზნო) 4:0, „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) — „ბაკინეცი“ (ბაქო) 3:0, „სოკოლი“ (სარატოვი) — „ხაზარი“ (სუმგაითი) 2:0, „დილა“ (გორი) — „შევარდენი“-სპი (თბილისი) 4:1.

• • •

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) 2:0 (0:0)

II ლიგის IX ზონის ეს გუნდები სატურნირო ცხრილში მოწინავე ადგილებზე იმყოფებიან, ამდენად, მათი უშუალო შეხვედრა პრინციპული ხასიათისა იყო.

თამაშის დასაწყისში საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა სტუმრებს ეპყრათ. ისინი კოლექტიური, კომბინაციური მოქმედებით ხშირად უტევდნენ მეტოქის კარს, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კარპოვი, რიაგუნოვი და სხვანი, რომლებიც სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ მეკარე ქორიძის კართან.

ამ პერიოდში, დაახლოებით 30 წუთის მანძილზე, „მეტალურგი“ მხოლოდ ეპიზოდურ კონტრიერიშებს ახორციელებდა, მაგრამ ეს მანევრი გუნდს საკმაოდ კარგად აქვს დამუშავებული: შეტევის ხაზზე ძალზე სახიფათოდ თამაშობს დ. მეშკოვი. პარტნიორები ყოველ შესაძლო მომენტში ცდილობენ სწორედ მას გადასცენ ბურთი, მეშკოვი კი შოულოდნელი, სწრაფი გარღვევის შედეგად ფრიად სახიფათო ვითარებას ქმნის კარის ასაღებად. ეს მანევრი რუსთაველებმა პირველ ტაიმში სამ-ოთხჯერ გაიმეორეს და „ატომმაშის“ მეკარე მალახოვიც ამ დროს მეტად კრიტიკულ სიტუაციაში იმყოფებოდა.

„მეტალურგმა“ შესვენების შემდეგ მთლიანად შეცვალა ტაქტიკა. კონტრშეტევების ნაცვლად გუნდმა საფუძვლიანად ხელთ აიღო ინიციატივა, უპირატესობა მოიპოვა შუა მინდორში და მეშკოვის დასახმარებლად შეტევაში სხვა მოთამაშეებიც მიავლინა, კერძოდ, ავაქიანი, ტ. კაპანაძე. სტუმრები შესამჩნევად დაიღალნენ, იმატა მცველთა შეცდომებმაც, ხოლო მას შემდეგ, რაც 55-ე წუთზე მეშკოვმა თავისი მორიგი გარღვევა ზუსტი დარტყმით დაამთავრა და წინ გაიყვანა მეტალურგები, თამაში უკვე თითქმის ცალ კარში წარიმართა.

73-ე წუთზე მეტალურგების მორიგი შეტევა მეორე გოლით დაამთავრა ტ. კაპანაძემ და მატჩის ბედი უკვე ეჭვს აღარ იწვევდა. რუსთავის „მეტალურგმა“ დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია კონკურენტთან შეხვედრაში.

გათამაშების ცხრილი

IX ზონა

მდგომარეობა 19 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სოკოლი“	14	10	3	1	35-15	23
„ტორპ.“ ქ.	13	10	2	1	28-10	22
„მეტალურგი“	14	10	1	3	32-16	21
„ატომმაში“	15	7	3	5	24-15	17
„ქიაფაზი“	12	7	1	4	27-12	15
„თერგი“	14	7	1	6	23-18	15
„დილა“	13	7	1	5	25-25	15
„შევარდ.“-სპი	14	6	3	5	22-22	15
„ტექსტილშ.“	14	5	4	5	17-13	14
„დინამო“	13	6	1	6	20-19	13
„ლოკომოტივი“ (მინ. წ.)	14	3	4	7	16-24	10
„ზოიაზანი“	11	3	3	5	13-16	9
„ხაზარი“	11	3	2	6	10-20	8
„ტორპ.“ ვ.	15	3	1	11	13-29	7
„ლოკ.“-ომც	14	2	1	11	15-39	5
„ბაკინეცი“	11	1	1	9	4-31	3

9/VII 138 (9805)

II ლიგა

შტევენ მსაჯებს

მსაჯებზე ზემოქმედების უპრეცედენტო „ტაქტიკა“ გამოავლინეს სსრ კავშირის საფეხბურთო პირველობის მატჩში II ლიგის VIII ზონის მონაწილე ჩიმკენტის „მელიორატორის“ ხელმძღვანელებმა და ფეხბურთელებმა.

ჩიმკენტელი ფეხბურთელები ზონის სატურნირო ცხრილს სათავეში იმყოფებიან, აღმავლობით თამაშობს კზილ-ორდის „მელიორატორიც“, ამიტომაც მათი მატჩის სანახავად კზილ-ორდაში 10 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი.

მაგრამ საინტერესო თამაშის ნაცვლად გულშემატკივრებმა ნამდვილი უხამსობა და ხულიგნობა იხილეს. ჩიმკენტელებმა ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მასპინძელთა განუწყვეტელ იერიშებს და 75-ე წუთზე გაუშვეს გოლი. სტუმარმა ფეხბურთელებმა იგრძნეს, რომ თამაშში გარდატეხას ვეღარ შეიტანდნენ, ამიტომაც ისინი გარს შემოეხვივნენ რუსპუბლიკური კატეგორიის მსაჯს ს. გუსევს და მოითხოვეს გატანილი გოლის გაუქმება. ფეხბურთელებს არც გუნდის ხელმძღვანელები ჩამორჩნენ, ჩიმკენტელთა მთავარი მწვრთნელი ბ. ბაისეიტოვი, გუნდის ადმინისტრატორი გ. იბრაჰიმოვი, ჩიმკენტის ფეხბურთის ფედერაციის საოლქო ფედერაციის თავმჯდომარე მ. უტებაევი, სათადარიგო მოთამაშეები გამოცვივდნენ მინდორზე და ნამდვილი შტურმი მიიტანეს არბიტრზე. ისინი კვლავ და კვლავ მოითხოვდნენ კანონიერად გატანილი გოლის გაუქმებას და ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ მსაჯს.

ინციდენტი დაახლოებით 10 წუთს გაგრძელდა, საქმეში ჩაერია მატჩის ინსპექტორი ვ. ლედოვსკიხი, მილიციელები, მაგრამ თამაშის განახლების შემდეგაც ჩიმკენტელთა გუნდის ხელმძღვანელობა არ ცხრებოდა, აშკარად ხულიგნურად იქცეოდა მ. უტებაევი, რომელიც თამაშის დამთავრების შემდეგაც უშვერი სიტყვებით აგინებდა მსაჯსაც და მატჩის ინსპექტორსაც.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის ბ. ბაისეიტოვისა და მ. უტებაევის საფეხბურთო „პრაქტიკაში“, ამგვარი საქციელისთვის ისინი ადრეც იყვნენ დასჯილი, მაგრამ ეტყობა, ახლა ხელახალი სანქციებია საჭირო.

ჯ. იმანგელდიევი.
(ხაკდენის კორ).
კზილ-ორდა.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55,
სამდივნო — 98-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-53,
„ჭერანი“ — 98-97-26, „ბიბოდა“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი 60485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენიანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ბიგიზეთი კორპუსში: ხიმშიაშვილის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05444